COMUS

იანვარი 2017 /GE

ახალი ამბები n° 3

თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)

არსებული მდგომარეობა:

ჭიათურა (GE)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტების დასრულება და ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევების შემუშავება.

დუშეთი (GE)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტების დასრულება და ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევების შემუშავება.

გორისი (AM)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტების დასრულება და ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევების შემუშავება.

გიუმრი (AM)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტების დასრულება, და ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევების შემუშავება.

ლუცკი (UA)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტების შემუშავება.

მსტისლავი (BL)
დაგეგმვის ფაზა დასრულებულია. მიმდინარეობს საპროექტო ფაზა და ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება.

პრილიუკი (UA)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტების დასრულება, ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევები შემუშავების პროცესშია.

სოროკა (MD)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. ტექნიკური დოკუმენტების დასრულებულია. ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევები შემუშავების პროცესშია.

ჟოვკა (UA)
საპროექტო ფაზა მთავრდება თებერვლის ბოლოს. ტექნიკური დოკუმენტები და ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევები შემუშავების პროცესშია.

მთავარი თემები

საპროექტო ფაზის დასრულება გადავადდა 2017 წლის თებერვლის ბოლომდე, და წარიმართება **შემაჯამებელი ფაზის** პარალელურად, რომელიც იანვრიდან დაიწყო. საპროექტო ფაზის ბოლო ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკურ ეკონომიკური კვლევების შემუშავება ადგილობრივი ექპსერტების მიერ, თვითეული ქალაქისათვის გამოყოფილი საერთაშორისო ექსპერტის ხელმძღვანელობით. მიმდინარეობს ქალაქების ფილმებისა და ბროშურების დახვეწა..

მე-4 რეგიონული ვირქშოპი მემკვიდრეობის მართვაზე ჩატარდა სომხეთში (ერევანი-გიუმრი 22-23 სექტემბერი) სადაც მონაწილეობდა 9 საპილოტე ქალაქის 23 წარმომადგენელი, მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ორგანიზაციის ექსპერტთან ერთად. ყველა მონაწილე ენთუზიაზმით იყო ჩართული, განხილულ იქნა მემკვიდრეობის მართვის საკითხები, გამოწვევები, კომუნიკაციის მოდელები და ინსტრუმენტები, ქალაქებს შორის ურთიერთ- დახმარების და ინტეგრირებული მიდგომის მეთოდები. დემოკრატიული ჩართულობა და ადამიანის უფლებების კუთხით დანახული მემკვიდრეობის მართვა აღინიშნა, როგორც ევროპის საბჭოს მიდგომა ამ დარგში.

COMUS-ის მე-5 რეგიონული ვორქშოპი - მერების შეხვედრა შედგა საქართველოში (თბილისი-დუშეთი 7-8.12.2016) რომელსაც ესწრებოდა 9 მერი/მერის მოადგილე, ეროვნული კოორდინატორები და პროექტის ოფიცრები. ორდღიანი ნაყოფიერი შეხვედრა დასრულდა მერებისათვის მკაფიო სამომავლო ამოცანების განსაზღვრით და ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერით, ადგილობრივ დონეზე პროექტის შემდგომი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის სადემონსტრაციოდ. იხ. დეკლარაცია პროექტის ვებგვერდზე.

საკოორდინაციო კომიტეტის მე-3 შეხვედრა გაიმართა საქართველოში (თბილისი, 06.12.2016). ყველა მონაწილემ დადებითად შეაფასა 2016 წლის აქტივობები და პროექტის მსვლელობისას მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი. ქვეყნების მიერ დაისვა პროექტის დარჩენილი დროის სიმცირის, პროექტის ვადის გაგრძელებისა და მომდევნო პროექტის საკითხებიც.

სამდივნოს მიერ განმარტებულ იქნა რომ ყველა ქმედება გეგმის შესაბამისად დასრულდება 2017 წლის ივნისისთვის. შეთავაზებულ იქნა ორი შემდგომი ქმედება. 2017 წლის სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა კომიტეტის წევრების მიერ.

წამყვანი ექსპერტის ვიზიტი ბელორუსიაში ემსახურებოდა მსტისლავის საბაზო გეგმის დასრულებას და შემდგომი ნაბიჯებისათვის რეკომენდაციების. ვიზიტის შემდეგ მსტისლავმა წარმატებით დაასრულა საბაზო გეგმა და დაიწყო საპროექტო ფაზის აქტივობები.

ევროკავშირის შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგის მისია (ROM), ჩატარდა 2016 წლის შემოდგომაზე ევროკავშირის რეგულარული აქტივობების ფარგლებში. კომპლექსური ანგარიში წარმოდგენილ იქნება მოგვიანებით, თუმცა შემფასებელმა თავისი დაკვირვებები გაუზიარა მე-3 საკოორდინაციო კომიტეტის მე-3 შეხვედრის მონაწილეებს.

საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტები და ვორქშოპები ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების შესახებ ჩატარდა სომხეთში, საქართველოში და მოლდავეთში.

კულტურული მემკვიდრეობისა თემაზე და პროექტის აქტივობების გასაცნობად ცნობიერების ამაღლების სათემო აქტივობები ჩატარდა COMUS-ის საპილოტე ქალაქებში. აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია პროექტის ვებგვერდზე.

შემდეგი ნაბიჯები

შემაჯამებელი ფაზა დაიწყო 2017 წლის იანვარში.

უკრაინა:
წამყვანი ექსპერტის ვიზიტი ლუცკში, უკრაინა (12-13 იანვარი 2017)
საერთაშორისო ექსპერტის ვორქშოპი ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაზე, უკრაინა (8-10 თებერვალი 2017)

თვით-შეფასების/გააზრების პროცესი (იანვარი-მარტი 2017)

საპილოტე ქალაქების პორტფოლიოს დასრულება (იანვარი-აპრილი 2017)

მე-6 რეგიონული ვორქშოპი "საბინაო გამოწვევები ადგილობრივ განვითარებაში და მემკვიდრეობის დაფინანსება" (მარტის ბოლო კვირა, ადგილი დაზუსტდება)

მეტი ინფორმაცია პროექტის შესახებ და ახალი ამბები იხილეთ

✓ www.coe.int/comus